# 2017-2018 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის ეტაპები და ვადები

წყარო: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი http://eqe.gov.ge/geo/static/39/mobility/rules--procedures

პირველი ეტაპი:
- **2018 წლის 05 იანვრიდან 11 იანვრის ჩათვლით -** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთათვის ვაკანტური ადგილების შესახებ წერილობითი განაცხადის (თანდართული ელექტრონული ფორმა) ცენტრში წარდგენის ვადა;
- **2018 წლის 12 იანვრიდან 17 იანვრის ჩათვლით -** ცენტრის მიერ მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა ადგილების ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა.

მეორე ეტაპი:
- **2018 წლის 18 იანვრის 12:00 საათიდან 01 თებერვლის 18:00 სთ-მდე -** სტუდენტთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა;
- **2018 წლის 18 იანვრის 12:00 საათიდან 01 თებერვლის 18:00 სთ-მდე -** სტუდენტთა მიერ მობილობის საფასურის გადახდის ვადა;
- **2018 წლის 06 თებერვალი -** ელექტრონულ პორტალზე მობილობის შედეგების გამოქვეყნების ვადა.

მესამე ეტაპი:
- **2018 წლის 06-07-08 თებერვალი -** ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებული დადებითი შედეგის შემთხვევაში სტუდენტის მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოცხადების ვადა;
- **მიმღები უმაღლესი საგანმანათლელო დაწესებულების მიერ დადგენილი ვადები -** მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის მობილობის თაობაზე წერილობითი განაცხადისა და პირადი საქმის ასლების წარდგენის ვადა;
- **მიმღები უმაღლესი დაწესებულების მიერ დადგენილი ვადები -** მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობის თაობაზე სტუდენტის მიერ წერილობითი განცხადებით დადასტურების (თანხმობა/უარი) ვადა.

მეოთხე ეტაპი:
- **2018 წლის 06 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით -** მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი აქტის პროექტების (თანდართული ელექტრონული ფორმით) ცენტრში წარდგენის ვადა;
- **2018 წლის 15 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით -** სამართლებრივი აქტების პროექტებზე ცენტრის მიერ დასკვნების გაცემის ვადა;
- **2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით -** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა.

მეხუთე ეტაპი:
- **2018 წლის 02 მარტის ჩათვლით -** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის ვადა;
- **2018 წლის 05 მარტის ჩათვლით -** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების ცენტრში წარდგენის ვადა;
- **2018 წლის 06 მარტის ჩათვლით -** მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემის ვადა;
- **2018 წლის 06 მარტის ჩათვლით -** მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ასახვის ვადა;
- **2018 წლის 06 მარტის ჩათვლით -** მობილობით გადასული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების (თანდართული ელექტრონული ვერსიით) ცენტრში წარდგენის ვადა;
- **სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირა -** მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანებიდან ამონაწერის (თანდართული დოკუმენტებით) გაცემის ვადა.

## ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში მობილობით სწავლის გაგრძელების მსურველთა საყურადღებოდ

| ეტაპი | ვადა/თარიღი | განმარტება |
|---|---|---|
| I | 06 – 08 თებერვალი | შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - ბნსუ) საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველი სტუდენტი, რომელმაც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებული დადებითი შედეგის საფუძველზე მოიპოვა 2017-2018 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბნსუ-ში მობილობით სწავლის გაგრძელების უფლება, რეგისტრაციის მიზნით უნდა გამოცხადდეს ბნსუ-ში, განცხადებით (ივსება ბნსუ-ში) მიმართონ ბნსუ-ს რექტორს (ბნსუ-ს მისამართი: ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38; ოფიციალური ვებგვერდი: www.bntu.edu.ge; ოფიციალური ელ. ფოსტა: info@bntu.edu.ge, საკონტ. ტელ.: 0422 292525; სამუშაო საათები: $9^{00}$-$18^{00}$ სთ; პასუხისმგებელი პირი: ზურაბ ბაბაღუა, საკონტ. ტელ.: 598157141). |
| II | 06 – 09, 12 თებერვალი | სტუდენტების მიერ ბნსუ-ში წარსადგენია (სამუშაო საათები: $9^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე) შემდეგი დოკუმენტები:<br>• პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე – პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);<br>• 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);<br>• სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);<br>• ბაკალავრიატი - სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუ- |

| | | |
|---|---|---|
| | | მენტის ასლი / მაგისტრატურა - არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (ასლები);<br>• უსდ-ს მიერ გაცემული (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) - ამონაწერი უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანებიდან; ცნობა სტუდენტის სტატუსის და სწავლების სემესტრის შესახებ; ამონაწერი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (არსებობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში აუცილებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის მითითება); ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების, შესაბამისი კრედიტების და მიღებული შეფასებების მითითებით;<br>• საზღვაო დარგის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - სამედიცინო შემოწმების ფორმა #IV-100/ა (დედანი), გაცემული უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ. |
| III | არაუგვიანეს 14 თებერვლისა | მობილობით ბნსუ-ში სწავლის გაგრძელების მსირველი სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული კომპეტენციების ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენა ბნსუ-ში მოქმედი (კრედიტების აღიარების) წესის შესაბამისად (იხ. თანდართული „განათლების (კრედიტების) აღიარების წესი - ბაკალავრიატი) და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება ბნსუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობის თაობაზე. |
| IV | არაუგვიანეს 14 თებერვლისა | სტუდენტისთვის ზემოთ მითითებული დასკვნის გაცნობა (სამუშაო საათები: $9^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე). |
| V | არაუგვიანეს 14 თებერვლისა | ბნსუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობის თაობაზე სტუდენტის მიერ წერილობითი განცხადებით თანხმობის/უარის დადასტურება (სამუშაო საათები: $9^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე). |
| VI | არაუგვიანეს 15 თებერვლისა | მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ ბნსუ-ს მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტების (თანდართული ელექტრონული ფორმით) ცენტრში წარდგენა. |
| VII | არაუგვიანეს 28 თებერვლისა | სამართლებრივი აქტის პროექტზე ცენტრის მიერ დასკვნების გაცემის შემდეგ ბნსუ-ს მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ერთიანი აქტის (ბრძანების) გამოცემა და სტუდენტთან განათლების მომსახურების ხელშეკრულების დადება. |
| VIII | არაუგვიანეს 02 მარტისა | ბნსუ-ს მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვა. |
| IX | არაუგვიანეს 05 მარტისა | ბნსუ-ს მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ერთიანი აქტის (ბრძანების) ცენტრში წარდგენა |
| X | არაუგვიანეს 06 მარტისა | 1. მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემა;<br>2. მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ასახვა. |

შენიშვნა: ბნსუ უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენის მიზნით მოითხოვოს სტუდენტის მიერ შესასვლილი სასწავლო კურსების სილაბუსების წარდგენა; ბნსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად, ბნსუ-ში მობილობით სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე სტუდენტის მიერ გასათვალისწინებელია, რომ: ბნსუ-ში მობილობით ვერ ჩაირიცხება სტუდენტი, რომლის მიმართ უსდ-ში გამოცემულია ბრძანება სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენის გამო სტატუსის შეწყვეტის შესახებ თუ სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია ბნსუ-ს შინაგანაწესთან და მიიჩნევა ქცევის წესების უხეშ დარღვევად; ბნსუ-ში ჩარიცხული სტუდენტი ვალდებულია ბნსუ-ში წარადგინოს უსდ-ს მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) სტუდენტის პირადი საქმე, პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია, იმ დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი/დედანი, რომელიც ჩარიცხვამდე იყო წარმოდგენილი ასლის სახით; ბნსუ-ში სტუდენტის ვალდებულებებისა და უფლებების, სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის და სხვ. საკითხები რეგულირდება შინაგანაწესით, რომლის გაცნობა და მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა.

## ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ

1) ბნსუ-ს სტუდენტის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობით სწავლის გაგრძელება:
   არაუგვიანეს 2017 წლის 05 მარტისა - ბნსუ გამოსცემს და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ასახავს მობილობით ბნსუ-დან გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებას;
   სტუდენტის მიმართვიდან 01 კვირის ვადაში - გასცემს მობილობით ბნსუ-დან გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანებიდან ამონაწერს (თანდართული დოკუმენტებით).

2) ბნსუ-ს სტუდენტის შიდამობილობით უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება:
   22 იანვარი - 01 თებერვალი - შიდამობილობის მსურველთა განცხადებების რეგისტრაციის ვადა;
   არაუგვიანეს 06 თებერვლისა - განცხადებების განხილვა და კრედიტების აღიარების დასკვნის შედგენა;
   არაუგვიანეს 07 თებერვლისა - სტუდენტებისთვის დასკვნების გაცნობა;
   არაუგვიანეს 08 თებერვლისა - ბნსუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობის თაობაზე სტუდენტის მიერ წერილობითი განცხადებით თანხმობის/უარის დადასტურება;
   არაუგვიანეს 09 თებერვლისა - ჩარიცხვის ბრძანების გამოცემა;
   არაუგვიანეს 12 თებერვლისა - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზაში შიდა მობილობის შედეგების ასახვა.

## საკონტაქტო ინფორმაცია

- მისამართი: ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი №38
- ვებგვერდი: www.bntu.edu.ge
- ელ.ფოსტა: info@bntu.edu.ge
- საკონტაქტო ტელეფონი: +995 422 292 525
- ბნსუ-ში სამუშაო დღეები: ყოველდღე, შაბათ–კვირის გარდა
- ბნსუ-ში სამუშაო საათები: $09^{00}$ - $18^{00}$ სთ.